საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№20/13

„13“მარტი2013 წ.

მოქალაქე ცირა კვაჭანტირაძეს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეკინის გამზირი №31/31ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს, მისი პეკინის ქუჩის გასწვრივ მდებარე ფასადის შესაძლო რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. არსებული საცხოვრებელი სახლი სავარაუდოდ აგებულია გასული საუკუნის 60-ან წლებში. იგი ხუთ სართულიანია (პეკინის ქუჩის მხრიდან პირველ სართულზე განთავსებულია არასაცხოვრებელი ფართობები). შენობა კონსტრუქციულად არასრული კარკასული ტიპისაა, გარე მზიდი კედლებითა და შიდა სივრცეში არსებული მონოლითური რკინაბეტონის სვეტებით. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები. სახურავი ხის, ორ ქანობიან ნივნივებზე. ბურულის მასალა ფოლადის მოთუთიებული ფურცლები. შემოწმებით დადგინდა, რომ შენობა იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში.

მოქალაქეებს ცირა კვაჭანტირაძეს და თამაზ მაზმიაშვილს პირველ არასაცხოვრებელ სართულზე გააჩნიათ თანასაკუთრების ფართობი (A=83მ²). გარკვეული კომერციული საქმიანობის მიზნით, მათი სურვილია ფართობის ერთმანეთისგან გამიჯნვა. გამიჯვნის შემდეგ მოქალაქე ცირა კვაჭანტირაძეს მფლობელობაში დარჩება A=38მ²; ხოლო მოქალაქე თამაზ მაზმიაშვილს A=45მ². ამჟამად თანასაკუთრების ფართობში, პეკინის ქუჩიდან შესასვლელად გააჩნია კარის ღიობი სიგანით b=145სმ. ფართობი იყოფა იმგვარად (იხ. აზომვითი ნახაზი), რომ სასაზღვრო ხაზზე გამყოფი 20სმ. სისქის წვრილი საკედლე ბლოკის კედლის აგების შემთხვევაში, მოქალაქე ცირა კვაჭანტირაძეს შესასვლელი მანძილი სინათლეში რჩება 84სმ; რაც ახალი კარების მოსაწყობად მცირე სიდიდეა (თუ გავითვალისწინებთ კარის ჩარჩოების მნიშვნელობებს).

კარის ნორმალური ღიობის მოწყობის შესაძლებლობის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარდა ზუსტი აზომვები, რის შედეგადაც გაცნობებთ შემდეგს:

საკვლევ ფართობში არსებული შესასვლელი კარები და ვიტრაჟები, ირგვლივ მოპირკეთებულია მასიური, დეკორატიული ბაზალტის ქვით. საჭიროა გამზირის მხრიდან მარცხენა მხარეს დემონტირდეს აღნიშნული

ქვები, გადაიჭრას 20-21სმ. სიდიდით და ამგვარად მიღებულ h=105სმ. სიგანის ღიობში მოეწყოს ახალი შესასვლელი კარები. ჩატარებული სამუშაოებით არ დაზიანდება მზიდი კედელი ან შესაძლებელია იგი ჩამოსათლელი გახდეს უმნიშვნელო სიდიდით (რამოდენიმე სანტიმეტრით), რაც არ გამოიწვევს რაიმე უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას და არ გახდება საჭირო რაიმე დამატებითი გაძლიერებითი ხასიათის ღონისძიებები.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/